[კუბა, ბოლივია, ეკვადორი]

ჩვენი ფეხბურთელები განსაკუთრებულად მოემზადნენ შარშანდელი ჩემპიონის „ბარსელონას“ წინააღმდეგ სათამაშოდ და უნდა ითქვას, საშინელი სიცხისა და სინესტის მიუხედავად, ბოლომდე გაუძლეს აღებულ ტემპს. მაშინ, როცა ადგილობრივმა ფეხბურთელებმა მოთამაშეების გამოცვლა დაიწყეს, ვერა, ვერც „ბარსელონას“ ეწერა გულშემატკივართა იმედების გამართლება. მატჩი კვლავ დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა – 2:1. გამტყუნდა რეპორტიორთა პროგნოზი – „დაუმარცხებელ თბილისელთა წინსვლას „ბარსელონას“ ფეხბურთელები შეაჩერებენო“.

მატჩი კიტოს საკლუბო გუნდების ნაკრების დამარცხებით დამთავრდა – 1:3. ??აღიარა დინამოელ ფეხბურთელთა თამაშის მაღალი კლასი. განსაკუთრებით აქებდნენ კოტრიკაძეს, ხურცილავას, კალოევს, იამანიძესა და სხვებს. მათ დაიმსახურეს ეს – თითოეულმა ფეხბურთელმა მაქსიმალურად გამოავლინა თავისი შესაძლებლობა.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ჩატარებულმა ტურნემ ბევრი რამ შესძინა ჩვენს ფეხბურთელებს. ისინი გაეცნენ არა მარტო სხვადასხვა ტექნიკისა და ტაქტიკის მოთამაშეებს, არამედ სხვადასხვა დროში, კლიმატურ პირობებსა და სიმაღლეებზე თამაშსაც, რასაც ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მატჩის ნორმალურად ჩატარებისათვის.

8 გამარჯვება და ერთი ფრე 9 თამაშიდან, 39 გატანილი გოლი საკუთარში მიღებული ცხრა ბურთის საწინააღმდეგოდ. ეს ურიგო შედეგი როდია გუნდისათვის, რომელიც უცხოელთა მოედნებზე ორი წამყვანი მოთამაშის გარეშე გამოდიოდა ხანგრძლივი და მძიმე საფეხბურთო სეზონის შემდეგ.

31 დეკემბერი, 1961 წ.